In Georgian defense and foreign politic documents also in 2014 national defense strategy the Black Sea region is allocated as a region and is noted that Georgia is interested in advancing cooperation with the region's countries, especially with NATO members. In 2019, in connection with NATO's 70th birthday, the Black Sea packet was implemented, in which Georgia was also included.

The packet goals are to increase support in fields like information exchange, visits in ports, and training of the coast guard and navy officers which is a good example of support. 1936 Montreux convention makes Georgia even more attractive for western states because the convention places the countries of the region and limits outside actors' pursuit of interest, that is why the western political society regards Georgia as an ally just like they regard Ukraine as an important ally so they can present their interests in the region in these countries' name.

After the independence, Georgia had to overcome many tumults, which influences today's events. The following paper will discuss challenges Georgia has to face and what role it might have in stabilizing the Black Sea's safety. The topic will revise the future perspectives the region has to face and possible expectations which we might face during the conflict.

*ნანა გაფრინდაშვილი*

## სოცრეალიზმის, როგორც საბჭოთა ლიტერატურის თეორიული მეთოდის, კრიტიკული შესწავლა და თანამედროვე შეფასებები უცხოურ ლიტერატურათმცოდნეობაში

საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის, საკითხებზე შექმნილი თეორიული ნაშრომები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან იდეოლოგიური ვექტორითა და შინაარსით. განსხვავებული მიდგომებით გამოირჩევა აგრეთვე ყოფილ სსრკ-სა და სხვა ქვეყნებში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი გამოკვლევები.

სოციალისტური რეალიზმის თეორიული საკითხების შესწავლა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მკვეთრად იდეოლოგიზებული ამოცანა იყო. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც არსებობს მრავალი ნაშრომი, რომლებიც დაწერილია საბჭოთა

ეპოქაში და რომლებშიც სოცრეალიზმი ოფიციალურად მიღებული თვალსაზრისით არის შეფასებული ( ბ. ჟღენტი, ა. თოფურია, შ. რადიანი, გ. ჯიბლაძე, ს. ჭილაია და სხვათა გამოკვლევები). თუმცა ზოგი მკვლევარი იმ ეპოქაშიც განსხვავებულ პოზიციაზე იდგა (აბრამ ტერცის ტრაქტატი „რა არის სოციალისტური რეალიზმი”).

საბჭოთა იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში საქართველოშიც იჩინა თავი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ სოციალისტური რეალიზმის მიმართ (აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერება”). დაიწყო საბჭოური წარსულის ახლებური იდეური და თეორიული ინტერპრეტაცია.

სოციალისტური რეალიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კატერინა კლარკის წიგნს: „ისტორია, როგორც რიტუალი“. 80-იანი წლების მნიშვნელოვან გამოკვლევად არის მიჩნეული 1984 წელს შტუტგარტში გამოსული ჰ. გიუნტერის „ლიტერატურის ნაციონალიზაცია: სოცრეალისტური კანონის შექმნა და ფუნქციონირება 30-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურაში“. სოცრეალიზმის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა 2000 წელს გამოცემულმა ათასგვერდიანმა კრებულმა „სოცრეალისტური კანონი“; მნიშვნელოვან ნაშრომადაა მიჩნეული ამერიკელი პროფესორის, ევგენი დობრენკოს ფუნდამენტური გამოკვლევა „საბჭოთა მწერლის ფორმირება“ (1999) და სხვ.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში სოცრეალიზმის შეფასებასთან დაკავშირებით შეინიშნება ორი ტენდენცია: მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობს, კრიტიკულად შეაფასოს სოცრეალიზმი, როგორც საბჭოთა ეპოქის პროდუქტი, ხოლო მეორე ნაწილის შეფასებებში გარკვეული სიმპათია და ნოსტალგიაც იგრძნობა (იური ბორევი, „სოციალისტური რეალიზმი: თანამედროვის შეხედულება და თანამედროვე შეხედულება“, 2008, მოსკოვი).

XXI საუკუნის დასაწყისში მთელ მსოფლიოში გააქტიურდა სოციალისტური რეალიზმის კვლევა. სოციალისტური რეალიზმის ფენომენისადმი ინტერესი გაღრმავდა ქართულ და პოსტსაბჭოურ სივრცეშიც. იდეოლოგიური ზეწოლის არარსებობა და გარკვეული დროითი დისტანცია უკვე მკვლევრებს აძლევს საშუალებას, თამამად და ობიექტურად გააანალიზონ საკვლევი ობიექტი.

*Nana Gaprindashvili*

# CRITICAL STUDY OF SOCIAL REALISM AS A THEORETICAL METHOD OF SOVIET LITERATURE AND CONTEMPORARY EVALUATIONS IN FOREIGN LITERATURE STUDIES

Theoretical works created regarding the main methods of Soviet literature- Socialist Realism, differ significantly from each other concerning their ideological vector and content. Studies conducted in the former USSR and other countries, both in the Soviet and post-Soviet periods, are distinguished by different approaches.

The study of the theoretical issues of Socialist Realism was one of the most important, sharply ideologized tasks of the Soviet literary criticism. There are many works in Georgian literature written in the Soviet era when Social Realism was discussed and evaluated from an officially accepted standpoint (B. Zhgenti, A. Topuria, S. Radiani, G. Jibladze, S. Chilaia, and others). However, some scholars took a different position in that era (a treatise by Abram Terz, "What is Socialist Realism?").

In the last period of the Soviet Empire, Georgia also revealed a critical attitude towards Socialist Realism (Akaki Bakradze's "Taming of Writing"). This period marks the beginning of a new ideological and theoretical interpretation of the Soviet past.

The book by Catherine Clarke, "History as a Ritual", was of great significance concerning the exploration of both Socialist Realism and Soviet literature. H. Gunter's "Nationalization of Literature: The Creation and Functioning of the Socialist Law in the Soviet Literature of the 1930s," (published in Stuttgart in 1984) is considered significant research of the 1980s.

A special place in the study of Social Realism is occupied by a thousand-page collection "The Socialist Law", published in 2000, "The Formation of the Soviet Writer" (1999), by American professor Eugene Dobrenko is a significant fundamental study as well.

There are two tendencies in the evaluation of Social Realism in modern literature. One group of researchers tries to critically evaluate Social Realism as a product of the Soviet era. On the other hand, in other researchers' evaluations, one can feel a certain sympathy and nostalgia (Yuri Borev, "Socialist Realism: The view of a modern person and a modern view", 2008).

At the beginning of the XXI century, the study of Socialist Realism became more popular in the world. The interest in this phenomenon deepened in the Georgian and post-Soviet works dedicated to the issue. The absence of ideological pressure and a certain temporal distance allows the researchers interested in this issue to boldly and objectively analyze the subject of the study.

*ელენე გოგიაშვილი*

## რა „აკეთილშობილებს“ ყაჩაღს? ფოლკლორული პარადიგმები

მას შემდეგ, რაც ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ გამოქვეყნდა (1973), „კეთილშობილი ყაჩაღის“ სახემ პოპულარობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია თავის თანამედროვე საზოგადოებაში და დღემდე არ დაუკარგავს მიმზიდველობა. მთავარი გმირი სახელმწიფოსთვის კრიმინალია, ხალხისთვის კი სიმართლისთვის მებრძოლი გმირი თავისი მორალური კოდექსით, რაც მის თავგადასავალს განსაკუთრებულს ხდის. „კეთილშობილი ყაჩაღის“ თემა ერთ-ერთი უნივერსალური სოციალური ფენომენია, კარგად ცნობილი ისტორიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, თეატრსა და ფოლკლორში. ხალხური გადმოცემები კეთილშობილებას მატებენ სოციალური გარემოებისგან დაჩაგრულ გმირებს. ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებებში ეს ადამიანები სხვადასხვაგვარად არიან შეფასებული. სოციალური ბანდიტები არიან კრიმინალები, რომლებიც ძარცვა-გლეჯის მიუხედავად ხალხს შთამაგონებელ გმირებად მიაჩნია. ისინი არ სჩადიან ორგანიზებულ დანაშაულს, რის გამოც ხალხის თვალში უსამართლო ხელისუფალთა წინააღმდეგ მებრძოლის სახეს იღებენ. ე. ჰობსმაუმის თქმით, ეს „პრეისტორიული სოციალური მოძრაობაა“, განსხვავებული მუშათა მოძრაობისგან. ნაწილი ისტორიკოსებისა და ანთროპოლოგებისა სოციალური ბანდიტიზმის თეორიას კრიტიკულად უდგება და ყაჩაღის რომანტიზმის საბურველში გახვევას ნაციონალისტური რიტორიკით ხსნის. „კეთილშობილი ყაჩაღი“ რომანტიკული ცნებაა კრიმინალისა, რომელიც უსამართლობას ებრძვის და დაბალ ფენაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის შურისმაძიებელია, რომლისაც ხალხს თან ეშინია და თან